ოქმი N 2

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 15 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.
(მომხსენებელი: დ. ბერაია - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.
(მომხსენებელი:დ. ბერაია - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.
(მომხსენებელი:დ. ბერაია - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.
(მომხსენებელი:დ. ბერაია - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების მხრიდან ინიცირებულ იქნა წინადადება საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სახელწოდებების ცვლილებების თაობაზე, რაზედაც მომზადდა ერთობლივი წინადადება, ზემო აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით წარმოგიდგენთ განსახილველად რეგლამენტში ცვლილების პროექტს.

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს რეგლამენტის ახალი რედაქციის ინიცირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ინიცირების წესით განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

(მომხსენებელი:დ. ბერაია - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, როგორც დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვის დროს განმარტა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს ეცვლებათ სახელწოდებები, რის საფუძველზეც იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ეწოდება იურიდიულ საკითხთა კომისია, რამაც განაპირობა იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცება, სადაც ასევე დაზუსტდება კომისიის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ და მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის ინიცირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ინიცირების წესით, განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

(მომხსენებელი:დ. ბერაია - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განმარტა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სახელწოდების ცვლილებიდან გამომდინარე, მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის

შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“, რომლის საფუძველზეც ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ყოფილი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობა.

მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის ინიცირების წესით წარდგენა განმარტებით ბარათთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ინიცირების წესით, განმარტებით ბარათთან ერთად წარდგენილ იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია